ხელშეკრულება

ერთის მხრივ, "ევროგიონი სომხეთს" და "სომხეთის თემთა კავშირს" და მეორეს მხრივ, "ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის საბჭოსა" და საქართველოს ადგილობირვ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციას" შორის

ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშემწყობი ორგანიზაციის "ევრო-კავკასია" დაფუძნების შესახებ

ხელმომწერი მხარეები

პატივს სცემენ რა ქართველი და სომეხი ხალხის საუკუნოვან ძმობასა და კეთილმეზობლობას;
ადიარებენ სახელმწიფოთა სუვერინენტის, ტერიტორიული მთლიანობის და დამოუკიდებლობის პრინციპებს;
ცნობენ ეროვნული კანონმდებობისა და ტრანსასაზღვრო თანმშრომლობის ევროპული პრინციპების უზენაესობას;

დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1- ხელშეკრულების საგანი

ორივე მხარე აფუძნებს ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშემწყობ ორგანიზაციას, რომელიც მოქმედებს საქართველო სამხეთის საზღვრის გასწვრივ.

მუხლი 2 – იურიდიული დასახელება

ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანიზაციის სახელია "ევრო-კავკასია"

მუხლი 3 – საქმიანობის მანდატი

3.1 "ევრო კავკასიის" ამოცანაა ხელი შეუწყოს თანამშრომლობას საქართველო სომხეთის საზღვრისპირა მუნციპალიტეტებს შორის, უზუნველყოს კონტაქტები მოსახლეობასა და საზ. ორგანიზაციებს შორის
3.2. "ევრო კავკასია" თავის მანდატს ანხორციელებს ერთობლივი პროექტებითა და განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობით

მუხლი 4 – სამოქმედო არეალი

"ევრო-კავკასიის" სამოქმედო არეალს წარმოადგენს საქართველო – სომხეთის საზღვრის გასწვრივ განლაგებული მუნიციპალიტეტების ტერიტორია.

მუხლი 5 - მმართველი სტრუქტურები

5.1 – "ევრო კავკასიის" დამფუძნებლები არიან სომხეთის თემთა კავშირი, "ევრო რეგიონი სომხეთი" ერთის მხრივ და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია და ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის საბჭო მეორეს მხრივ.
5.2. – "ევრო კავკასიის" უმმაღლესი მმართველი ორგანოა საპარტნიორო საბჭო, რომელიც შედგება 10 წარმომადგენლიდან, საიდანაც 5 ნიშნავს სომხეთის მხარე და 5 წარმომადგნელს ნიშნავს საქერთველოს მხარე. პარტნიორთა საბჭოზე

გადაწყვეტილებანი მიიღება კონსენსუსის გზით. პარტნიორთა საბჭოს მუშაობის პროცედურები განისაზღვრება ცალკე დოკუმენტით.
5.3. სომხეთის თემთა კავშირთან არსებული "ევრო რეგიონი სომხეთი" –ს თავმჯდომარე და საქართველოს ადგ. თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციასთან არსებული "ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის საბჭოს" თავმჯდომარე, იმავდროულად არიან ევრო კავკასიის პარტნიორთა საბჭოს თანათავმჯდომარეები და მათ აქვთ მხოლოდ წარმოამდგენლობითი ფუნქციები.
5.4. – პარტნიორთა საბჭომ ცალკეულ საკითხებზე შეიძლება შექმნას კომისიები, რომელიბიც დაკომპლექტებული იქნება თვითმმართველობის წარმომადგენლებით და მოწვეული ექსპერტებით. კომისიებს სარეკომენდაციო ფუნქცია აქვთ
5.5. პარტნიორთა საბჭო თითეულ ქვეყანაში ქმნის სამდივნოებს, რომელთა მუშაობას უძღვებიან აღმასრულებელი დირექტორები. საქართველოს სამდივნოს დირექტორს ნიშნავს საქ. ადგ. თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია და სომხეთის სამდვნოს დირექტორს სომხეთის თემთა კავშირი.

მუხლი 7 – სამუშაო სფეროები

ევრო კავკასიის სამუშაო სფეროებია:

- ერთობლივი ეკონომიკური პროექტები
- მცირე და სამუალო ბიზნესის ხელშეწყობა
- კულტრული გაცვლა და ახალგაზრდობის პროგრამები
- სახალსო დიპლომატია
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
- ერთობლივი ინფრასტუქტურის განვითარების ხელშეწყობა
- გარემოს დაცვა
- ნოუ-ჰაუსა და კარგი პრაქტიკების გაცვლა
- სამოქალაქო განათლება და მესამე სექტორი
- თავისუფალი ვაჭრობისა და მიმოსვლის ხელშეწყობა

მუხლი 7 – კორდინაცია შესაბამის ცენტრალურ მთავრობებთან

7.1. ხელმომწერი მხარეები აცნობებენ საკუთარ ცენტრალურ მთავრობებს ამ ხელშეკრულების შესახებ და პერიოდულად აწვდიან ინფორმაციას საქმიანობის შესახებ. იწვევენ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგნლებს პარტნიორთა საბჭოს შეხვედრებზე
7.2. პარტნიორთა საბჭოს გადაწყვეტილებანი საჯარო და ქვეყნდება ქართულ და სომხურ ენებზე

მუხლი 8 – ხელშეკრულების ძალაში შესვლა და გასვლა ხელშეკრულებიდან

81.ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ამის შესახებ ოფიციალური შეტყობინება ეგზავნება ევროპის საბჭოს.
8.2 ხელშეკრულებიდან გასვლა შეუძლია ხელშემკვრელ მხარეს ოფიციალური ცნობის გაგზავნიდან ერთი თვის ვადაში.

ხელშეკრულება ხემოწერილია ქ. თბილისში, 2009 წლის 15 ივნისს. იგი შედგენილია სამ ენაზე ქართულად სომურად და ინგლისურად, ინგლისურ ტექტს აქვს უწინარესი იურიდიული ძალა.

"ევრო-რეგიონი სომხეთის" სახელით	ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობისს საბჭოს სახელით
ბ-ნ სამველ დარბიანიანი *ქ. ვანაძორის მერი*	ბ-ნ.ნოდარ საბიამშვილი *ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*
"სომხეთის თემთა კავშირის" სახელით	"საქართველოს ადგ. თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის " სახელით
ბ-ნ. ემინ იერეტციანი *პრეზიდენტი*	ბ-ნ. მამუკა აბულაძე *პრეზიდენტი*